

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის N120/13<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*სოფიკო ჩიხრაძე (სტუდენტი)*

### ფაქტები

ერთ-ერთი სასამართლო დავის მიმდინარეობის დროს, ადვოკატმა საჩივრის ავტორს (მ.შ.) ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაუგზავნა წერილი, სადაც მომჩივანის თქმით, ადვოკატი მას ბრალს დებდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში - მამის ნებართვის გარეშე ბავშვის მოტყუებით საზღვარგარეთ გაყვანაში. ადვოკატი სასამართლო პროცესზე იცავდა მომჩივანის მეუღლის ინტერესებს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ამ ქმედებით დაარღვია მისი უდანაშაულობის პრეზუმფცია, სიცრუის მეშვეობით შეეცადა მასზე ზემოქმედების მოხდენას. ასევე, ექვექვემ დააყენა მისი პიროვნული ღირსება და დედობრივი დამოკიდებულება შვილთან. ადვოკატმა არ ცნო მომჩივანის პრეტენზია და წარადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა რომ აღნიშნული წერილით იგი ეცადა მხარეებს შორის ოჯახური თანაცხოვრების აღდგენას. იგი უფლებამოსილი იყო მხარისათვის განემარტა მარწმუნებლის პოზიცია და შეეთავაზებინა მორიგება ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

### სამართლებრივი შეფასება

ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1) და მიზნად არ დაისახოს კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა არაკანონიერი საშუალებების გამოყენების გზით. მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისია განიხილავს ადვოკატის მიერ მომჩივანისათვის მიწერილი წერილის შინაარსის შესაბამისობას კანონმდებლობის დანაწესებთან. ეთიკის კომისიის განმარტებით წერილში მითითებული ფრაზები არ არის მუქარის შემცველი, რადგან გადმოსცემს ადვოკატის ვარაუდს, ასეთი შეფასებები ექცევა ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, რადგან გარემოებებზე დაყრდნობით არის გაკეთებული და არ არის შეურაცხმყოფელი. ადვოკატი უთითებს: „რომ არ მოხდეს ამ დავის გაგრძელება, გთხოვთ, ნებაცოფლობით დააბრუნოთ ბავშვი მამასთან, ან გამოიყენოთ მორიგებისათვის გათვალისწინებული კანონიერი ფორმა“. აღნიშნულის მითითებით ადვოკატი გამოთქვამს მორიგებისათვის მზადყოფნას და მოწინააღმდეგე მხარეს მოუწოდებს გამოიყენოს მორიგებისათვის გათვალისწინებული კანონიერი ფორმა. ეთიკის კომისიის განმარტებით, ასეთი ქმედება მიმართულია მორიგების გზით კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვისაკენ. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

### დასკვნა

ეთიკის კომისიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ დაადგინა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.1 მუხლის დარღვევა, რის გამოც ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c529a27837ca.pdf/5c529a27837ca.pdf>